*პროექტი*

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---სექტემბერი 2023 წელი

**ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და შესახვევისთვის იოანე ზოსიმეს სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, გაგრძელდეს იოანე ზოსიმეს ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.
2. ისნის რაიონში, ჯუმბერ ლეჟავას ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს იოანე ზოსიმეს სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. ისნის რაიონში, იოანე ზოსიმეს ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს იოანე ზოსიმეს I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად

4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე



იოანე ზოსიმეს ქუჩა
ღვინის ქუჩა
ვაზის ქუჩა
კვიპაროსის ქუჩა
ვაზის ქუჩა
II კვარტალი
II კვარტალი
II კვარტალი
NAPR
1 : 7091
გეოგრაფიული (გრძედი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

STAFF OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

**ადრესატი:**

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032325538**
თარიღი: **12/09/2023**

როგორც მოგეხსენებათ, ისნის რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დასრულდა ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა, რომელიც მარშალ იოზეფ პილსუდსკის გამზირს აკავშირებს მახათას აღმართთან. ხსენებული გზის მცირე მონაკვეთს მინიჭებული აქვს ჯუმბერ ლეჟავას და იოანე ზოსიმეს სახელები, ქუჩის მასშტაბური მონაკვეთი ამ დრომდე უსახელოა. სახელწოდებების ქუჩის გავრცელების არსებულ არეალთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით წარმოგიდგენთ სახელდების სამართლებრივი აქტის და დანართის პროექტს.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)